

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის  
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №10

ქალაქი ქუთაისი

11 მარტი, 2019 წელი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კობრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” თავმჯდომარე;
4. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
5. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
6. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
7. ლია გვენეტაძე - მწერალი ჟურნალისტი;
8. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
9. ქრისტინე მიქაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
10. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 10, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 6 წევრი. 5 წევრის საკითხი საბჭოდან გასვლასთან დაკავშირებით განხილვის პროცესშია.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არ არის გადაწყვეტილებათაუწარმომადგენელი, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა არ ესწრება.

**სხდობა გაგრძელდა სამუშაო შეხვედრის ფორმატში.**

**სხდომას უძღვებოდა:** ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ნინო თვალთვაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

**ნოდარ ჯიქია** (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

### დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა.
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი პროექტების პრეზენტაცია: ქეთევან ცხაკაია, შორენა ხუხუა.
4. ქუთაისის საგზაო ინფრასტრუქტურა (გზების რეაბილიტაცია და მიმდინარე სამუშაოები). - მომხსენებელი დგინდება.
5. ქალაქ ქუთაისის სოციალური პროგრამების ანალიზი - მომხსენებელი ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი.
6. ქალაქში განთავსებული ნაკეთობათა, ქუჩების და სკვერების აქსესუარების დაზიანების ფაქტების განხილვა და შემდგომი პრევენცია.
7. სხვადასხვა.  
ქუთაისის მწვანე ყვავილას პანთეონის გაფართოების საკითხი. ინიციატორი ლია გვეტაძე.
8. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

ნოდარ ჯიქიამ (საბჭოს თავმჯდომარემ) სთხოვა წევრებს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ, საბჭოს გარდაცვლილი წევრის ბენია თხილაგასთვის

**შორენა ხუხუა მერიის (საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ხელმძღვანელი) - პროექტების პრეზენტაცია:**

1. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი „კატასტროფების რისკების მართვის შესაძლებლობების განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ქალაქებში “Capacities”

პარტნიორები: ძირითადი გუნდი უსაფრთხოების რეგიონი სამხრეთ-ჰოლანდია (VRZHZ), ნიდერლანდები ITINERIS Houdijk Consultancy (HouCon), ნიდერლანდები მდგრადი განვითარების რეგიონალური ცენტრი (PA RCSD), მოლდოვა.

მიმღები ქალაქები

- ქ. არარატის მუნიციპალიტეტი, სომხეთი
- ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველო
- ქ. უნგენი, მოლდოვა

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნულ ქალაქებში რისკების მართვას და მოახდინოს ამ მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა, შექმნას დაინტერესებულ პირთა საბჭოები, რისკების მართვის შესაძლებლობების შეფასება, და ზოგადად მოახდინოს კატასტროფების რისკების მართვის (DRM) დაგეგმვის სტრუქტურული პროცესის წარმართვა, რომელიც უშუალოდ კავშირში იქნება ევროკავშირის პოლიტიკასთან და გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა.

პროექტი დაიწყო 2018 წლის იანვარში და მისი ხანგრძლივობაა 2 წელიწადი.

პროექტის დასასრულს უნდა მოხდეს ადგილობრივი სტრატეგიის შემუშავება და ასევე შეიქმნება სახელმძღვანელო, ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სადაც მოცემული იქნება საფრთხეები და მათი შესაძლო გადაჭრის გზები.

3/ ERASMUS + პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პროექტი "Capacity Building in the field of youth – Eastern Partnership window" (ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარება - აღმოსავლეთ პარტნიორობის ფანჯარა).

პროექტის მიზანს წარმოადგენს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის სამეწარმეო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირება - უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი და საქართველო.

პროექტის განხორციელება დაიწყო 2018 წლის ნოემბრიდან და დასრულდება 2020 წლის ნოემბერს. პროექტის ფარგლებში იგეგმება გაცვლითი ვიზიტები და ახალგაზრდების გადამზადება.

პროექტის ფარგლებში მოხდება ინოვაციური მიდგომა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის ზრდის კუთხით შემდეგ სამიზნე ქვეყნებში: უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი და საქართველო. სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდობას გაცილებით ნაკლები შესაძლებლობები აქვთ სოფლად თვითრეალიზებისა და დასაქმებისათვის, ამიტომ პროექტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლებას, გამოცდილების მიღებას ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან.

### **ქეთევან ცხაკაია (მეცნიერთა კავშირი "სპექტრი", პროექტის კოორდინატორი)- პროექტის პრეზენტაცია.**

პროექტი „მდინარეები ნარჩენების გარეშე - სუფთა შავი ზღვა“ დაფინანსებულია ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის პროგრამის ფარგლებში.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია სამი ქვეყნის (საქართველო, მოლდოვა და რუმინეთი) ოთხი პარტნიორი.

პროექტის წამყვანი პარტნიორია - ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.

პროექტის პარტნიორებია: ქალაქ უნგენის მერია (მოლდოვა), ასოციაცია „ტეხნოპოლ გალაცი“ (რუმინეთი) და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ (საქართველო).

პროექტი მიზნად ისახავს გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას, მდინარეებისა და შავი ზღვის ნარჩენებით დაბინძურების შემცირების ხელშეწყობას ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვითა და მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების გზით.

პროექტის საქმიანობის ძირითად არეალს წარმოადგენს შავი ზღვის მნიშვნელოვნად დამაბინძურებელი მდინარეების - რიონისა (საქართველო) და პრუტის (მოლდოვა) აუზები, სადაც განხორციელდება ნარჩენების მართვის ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის ადაპტაცია და დანერგვა.

საქართველოში პროექტი ითვალისწინებს შემდეგი საქმიანობების განხორციელებას:

- ქალაქ ქუთაისში მუნიციპალური მწვანე ნარჩენების კომპოსტირების დანერგვა და საკომპოსტე ცენტრის შექმნა;
- ქალაქ ქუთაისში პლასტიკის, ქაღალდისა და მინის ნარჩენების სეპარირება;
- ქალაქ ფოთში პლასტიკის წყაროსთან სეპარირების დანერგვა;
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ქ.ქუთაისისთვის;
- ნარჩენების კომპოსტირების პოპულარიზაცია სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში;
- სახიფათო ნარჩენების საპილოტე შეგროვების ორგანიზება ქუთაისში.

მოლდოვაში, ქალაქ უნგენსა და უნგენის რაიონში დაინერგება მუნიციპალური ელექტრული და ელექტრონული ნარჩენების შეგროვება; განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული სახიფათო ნარჩენების შეგროვებაზე, ხელი შეეწყობა ინდივიდუალური კომპოსტირების განვითარებას.

საქართველოსა და მოლდოვაში ნარჩენების 3R პრინციპების წარმატებით დანერგვისათვის გამოყენებული იქნება ევროკავშირის ქვეყნის - რუმინეთის გამოცდილება. კერძოდ, გაზიარებული იქნება ქალაქ გალაცში ნარჩენების სეპარირების, რეციკლირების/ კომპოსტირების არსებული პრაქტიკა. ამ მიზნით პროექტი ასევე ითვალისწინებს სასწავლო ტურუს ორგანიზებას ქ.გალაცში (რუმინეთი).

პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები გარემოს დაცვის, ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მდინარეებისა და შავი ზღვის დაბინძურების საკითხებზე, ჩატარდება ტრენინგები, მომზადდება პუბლიკაციები, შეიქმნება ანიმაციური გაკვეთილები და სხვა. პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოსდაცვითი აქციების

მოწყობას მდინარეებისა და შავი ზღვის სანაპიროების დასუფთავების მიზნით.

პროექტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ნარჩენების მართვის საკითხებში ევროკავშირის პოლიტიკასთან ჰარმონიზაციის საკითხებს და სექტორთაშორისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას. პროექტის ფარგლებში ჩატარდება რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა აღნიშნულ საკითხებზე.

პროექტის საერთო ბიუჯეტია - 1008497EUR. ქუთაისის თვითმმართველობის ბიუჯეტი შეადგენს - 455020 EUR, საიდან გაიცა გრანტია - 418618,40 EUR.

პროექტის ხანგრძლივობაა - 26 თვე. პროექტი დაიწყო - 2018 წლის 30 აგვისტოს.

**აზრი გამოთქვეს:** ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კობრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუბუა, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

**ნინო თვალთვაძე (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის-მოადგილე)-  
სოციალურ პროგრამების ანალიზის პრეზენტაცია.**

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული ბიუჯეტის, რესურსის და კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს მათი საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობს სოციალური და ჯანდაცვის სფეროს მიკუთვნებულ პროგრამებს.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით განხორციელდა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ეფექტურობის ანალიზი, რაც თავის მხრივ 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში გარკვეული ცვლილებების საფუძველი გახდა. რეგულირების ზეგავლენის შეფასება ქ. ქუთაისში მოქმედ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებიდან სამ პროგრამაზე განხორციელდა დახმარება“, „მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ და „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“, ეს ის პროგრამებია სადაც დახმარების მთხოვნელთა განსაკუთრებით დიდი მომართვიანობა აღინიშნება, ხოლო პროგრამების ბიუჯეტი წლიდან წლამდე პროგრესით იზრდება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროგრამების შეფასება თავდაპირველ მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებაში.

რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტზე სამუშაო პროცესი 2018 წლის 1 აგვისტოს დაიწყო. პირველი ეტაპზე მოხდა დაინტერესებული მხარეთა იდენტიფიკაცია და განისაზღვრა დაინტერესებული მხარეთა

მატრიცა. სამუშაო ჯგუფმა კონსულტაცია გაიარა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რომლებმაც საკუთარი შეხედულებები წარმოადგინეს პროგრამებთან დაკავშირებით. გაკეთდა საერთაშორისო და ადგილობრივი ლიტერატურის მიმოხილვა. გამოიკვეთა 2030 დღის წესრიგის მიერ განსაზღვრული და გაეროს ქვეყნების მიერ დამტკიცებული 17 მდგრადი განვითარების მიზნებთან განხილული პროგრამების კავშირი.

რეგულირების გავლენის შეფასებაზე მუშაობის პროცესში თითოეულ პროგრამაზე გამოვლინდა რეკომენდაციები. გამოიკვეთა ახალი სოციალური პროგრამის - „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამის, შექმნის საჭიროება, რომელიც განხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

რეკომენდაციები

რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა კონსულტაცია გაიარა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. რეგულირების გავლენის შეფასებაზე მუშაობისას გამოვლინდა რომ ეფექტურია შეხვედრები განსახორციელებელი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისგან ფოკუს ჯგუფების სახით. ბენეფიციარების მცირე ჯგუფთან შეხვედრა იძლევა კონკრეტული სახის საკითხების უფრო უკეთ განხილვის და გამოსავლის უკეთ პოვნის საშუალებას.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების რეკომენდაციები თითოეული პროგრამისათვის შემდეგია:

#### **„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამა.**

პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდა ახალი ფორმულირებით: მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა, ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.

2019 წლის ბიუჯეტის ფორმირების დროს პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 000,0 ათასი ლარით.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ცვლილების გარეშე დარჩება მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენასთან დაკავშირებით ერთჯერად მატერიალურ დახმარებას.

მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების მიზნით, დაფინანსდეს მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის წამოწყება ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღება.

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის დროს ცვლილების გატარების საჭიროება დაფიქსირდა პროგრამის ერთ-ერთ მუხლში -მრავალშვილიანი ოჯახის თითოეული არასრულწლოვანი ბავშვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება. ცვლილების გატარება დიდ წილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის შემუშავებასთან. შესაბამისად,

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, განმეორებით მოხდება ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა.

მუნიციპალიტეტის მიერ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიგზავნა სარეკომენდაციო ხასიათის წერილი, მრავალშვილიანი დედებისთვის ჯანდაცვის კუთხით დაზღვევის, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შეღავათიანი საგადასახადო პაკეტის შემუშავების თაობაზე.

#### **„მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ პროგრამა.**

პროგრამის მიზანი- ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, უცვლელია.

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა კატეგორიას დაემატება ახალი სამიზნე ჯგუფი, ნათესაურ მინდობაში მყოფი არასრულწლოვანი და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები. გაიზრდება 65 000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების მედიკამენტებით დახმარების თანხა და ის 130 ლარის ნაცვლად, განისაძღვრება 150 ლარით. შესაბამისად, იზრდება პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამით მოსარგებლე ერთ-ერთი ჯგუფის -ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტების, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა საჭიროება, პროგრამის მართვაში გამოყენებული იქნას ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა.

#### **„სამედიცინო დახმარების“ პროგრამა**

პროგრამის მიზანი- ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები პირის დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით უცვლელია და ის თანხვედრაშია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მთავარ მიზანთან.

იცვლება პროგრამის შინაარსი, კონკრეტდება დახმარების მიმღებ ბენეფიციართა კატეგორია. არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე დახმარებით ისარგებლებს არამხოლოდ ონკოლოგიური ავადმყოფები, არამედ გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები. შესაბამისად, იზრდება პროგრამის ბიუჯეტი.

შეხვედრების დროს ჩამოყალიბდა აზრი, რომ ქალაქ ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც წლების განმავლობაში ახორციელებენ სოციალური თემატიკის პროგრამებს, აქვთ დიდი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება, რადგან ამავე დროს არიან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლები, დახმარებას უწევენ ქ. ქუთაისში მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს. აღნიშნული ოჯახები ძირითად შემთხვევაში სახელმწიფო თუ ადგილობრივი პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებებითაც

სარგებლობენ. საბოლოო ჯამში გამოიკვეთა, რომ ოჯახი მიუხედავად ცალკეული დახმარებებისა, ისევ საჭიროებს თანადგომას. გაცილებით ეფექტური იქნებოდა საჭიროების შემთხვევაში ყველა არსებული რესურსის გაერთიანება და კოორდინირებული მოქმედება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის გასამლიერებლად. ასეთი მუშაობის პრინციპი შესაძლებლობას მისცემს დახმარების გამწევ ორგანიზაციებს ფლობდეს სრულ ინფორმაციას-დახმარების მიმღებ პირთა საერთო ბაზის მეშვეობით, არსებული რესურსის ეფექტურ ხარჯვასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ახალი სოციალური პროგრამის შექმნის საჭიროება - „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამის.

„გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამის მიზანიც იქნება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას.

პროგრამის ბიუჯეტი 50,0 ათასი ლარი.

დასასრულს, საბოლოო რეკომენდაციის სახით, რეგულირების ზეგავლენაზე მომუშავე ჯგუფი თვლის რომ საჭიროა კონკრეტული ინდიკატორების შემუშავება თითოეული პროგრამისათვის, რომ სამომავლოდ მარტივად მოხდეს ამ პროგრამების ეფექტურობის შეფასება.

**აზრი გამოთქვეს:** ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კობრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

**მირზა ხიდაშელი** - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - ისაუბრა ქუთაისში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნა თეთრი ხიდისთვის საჭირო სამუშაოების მონახაზი, უამბო საბჭოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქუთაისში დაანონსებული ქუჩების რეაბილიტაციის თაობაზე, აღნიშნა რიონის პირა სახლების რეაბილიტაციის პროგრამა და უპასუხა საბჭოს წევრების კითხვებს. სამჭოს წინა სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კობრეიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ნინო ხუხუა, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, ქრისტინე მიქაძე.

**ნუგზარ კობრეიძე (საბჭოს მდივანი)** ისაუბრა გარემოსდაცვითი სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის შეკრების საორგანიზაციო საკითხზე. გარდა ამისა წარადგინა ინიციატივა, რომელიც ქალაქში განთავსებული ნაკეთობათა, ქუჩების და სკვერების აქსესუარების დაზიანების ფაქტების



განხილვას და შემდგომ პრევენციას ეხებოდა. შესთავაზა საბჭოს წამოეწყო კამპანია “მოუაროთ ჩვენ ქალაქს”, რათა ამაღლდეს მოქალაქეთა ცნობიერება და მოხდეს დაზიანებების პრევენცია. ცნობილია, რომ ნათურები იყო მოპარული ახლად რეაბილიტირებული თბილისის ქუჩის ელ-განათების ბოძებიდან და სხვა მრავალი ფაქტი საერთო ქალაქის ქონების დაზიანების თვალსაზრისით. ნუგზარ კობრიძე წარუდგენს საბჭოს მომდევნო სხდომაზე კონკრეტულ ინიციატივას კამპანიის შესახებ.

**ლია გვეტაძე (საბჭოს წევრი)** ისაუბრა ქალაქ ქუთაისის მწვანე ყვავილას პანთეონის გაფართოების საკითხზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია პანთეონის გაფართოება, რადგან მნიშვნელოვანი ადამიანები იქ უნდა დაიკრძალოს. მან აღნიშნა, რომ მერიამ უნდა იზრუნოს ამ საკითხზე რათა დაფასებულები იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც მნიშვნელოვანი საქმეები გაუკეთებიათ ქალაქისთვის და ქვეყნისთვის.

საბჭომ სთხოვა ვიცე-მერს რომ მერმა უზრუნველყოს საბჭოს შემადგენლობის გადახალისება მომდევნო სხდომისთვის და შეათანხმოს მერთან საბჭოს მე-11 სხდომის თარიღი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე *ნ. ჯიქია* ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი *ნ. კობრიძე* ნუგზარ კობრიძე